საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

20/08/2025

MES 1 25 0000966792

გადაწყვეტილება

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა - მასწავლებელი (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი; მუსიკის დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი; ინგლისური ენის დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი; გერმანული ენის დაწყებითისაბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი; რუსული ენის დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი; ფრანგულის დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი; ქართული ენისა და ლიტერატურის საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი; ისტორიის საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი; მოქალაქეობის საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი; დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების I-IV კლასების მასწავლებელი; დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის I-VI კლასების მასწავლებელი; დაწყებითი საფეხურის მათემატიკის I-VI კლასების მასწავლებელი; დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების I-VI კლასების მასწავლებელი;)" საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5- ემუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის

აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, თუ ყველა სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 10 ივნისის №647759 ბრძანების საფუძველზე განხორციელდა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო" საგანმანათლებლო პროგრამის, "მულტილინგვური განათლება - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის", "სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის", "მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა - „მასწავლებლის" (1), "მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა - „მასწავლებლის" (2) საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერზე სააკრედიტაციო ვიზიტი.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება და განახორციელა გარკვეული ცვლილებები:

ა) მოიხსნა 1.1 კომპონენტის შემდეგი რეკომენდაცია - "რეკომენდებულია, რომ პროგრამებმა ცალსახად გაითვალისწინონ ინტერნაციონალიზაცია, საერთაშორისო სწავლების სტანდარტების, მობილობის შესაძლებლობების ან კულტურათშორისი კომპონენტების ინტეგრირებით." აღნიშნულმა გამოიწვია 1.1 კომპონენტის შეფასების ცვლილება და კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, აღნიშნულმა არ გამოიწვია პირველი სტანდარტის ცვლილება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების

შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ემუ ხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა - მასწავლებელი (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი; მუსიკის დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი; ინგლისური ენის დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი; გერმანული ენის დაწყებითისაბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი; რუსული ენის დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი; ფრანგულის დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი; ქართული ენისა და ლიტერატურის საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი; ისტორიის საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი; მოქალაქეობის საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებელი; დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების I-IV კლასების მასწავლებელი; დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის I-VI კლასების მასწავლებელი; დაწყებითი საფეხურის მათემატიკის I-VI კლასების მასწავლებელი; დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების I-VI კლასების მასწავლებელი)" საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 06 აგვისტომდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა "დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო" საგანმანათლებლო პროგრამის, "მულტილინგვური განათლება - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის", "სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის", "მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა - „მასწავლებლის" (1), "მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა - „მასწავლებლის" (2) საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 20 აგვისტოს სხდომის №1004447 ოქმის №02 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაცია.

კლასტერული რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია კლასტერული პროგრამების სასწავლო გეგმიდან ამოიღონ დასწრება, როგორც შეფასებული კომპონენტი. (2.4)

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 06 აგვისტოდან.
6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24[1]მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე

ელექტრონული
მფლობელობა
ელექტრონული